KA021723046690019

ბრძანება

N1/1-5224 **16** / ოქტომბერი / **2019** წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფელ გიორგეთში მდებარე **114412** კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი და პირველი პრიმა პუნქტების შესაბამისად, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 25-ე მუხლის პირველი ნაწილის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემის ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.02.2011წლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის" უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფელ გიორგეთში მდებარე 114412 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი N 54.12.52.562) იჯარის უფლებით გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 წლის ვადით.
2. საწყის წლიურ საიჯარო ქირად დადგინდეს 4500 ლარი.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს 2500 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა - 200 ლარით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სარგებლობაში გადაცემის ვადას არანაკლებ 7 კალენდარული დღით.
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:
   ა) წლიური საიჯარო ქირის გადახდა ყოველწლიურად, ყოველი წლის 31 დეკემბრამდე.
   ბ) ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად, ყოველი წლის დეკემბრის თვეში ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ნივთის თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა.
   გ) ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ნივთზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში და შემდგომ ყოველ 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ იჯარის ვადის გასვლამდე დარჩენილია 5 (ხუთი) წელიწადი ან ნაკლები - იჯარის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, ნიადაგის ნაყოფიერების და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა დანართი N2-ის შესაბამისად.
5. მეიჯარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება ვადაზე ადრე, რაზეც 1 (ერთი) თვით ადრე მოიჯარეს უნდა გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება. ამ შემთხვევაში, მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება.
6. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (დანართი N3) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.
7. საიჯარო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.
8. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) და შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

იოსებ ოქრომელიძე